ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3427930

ნომერი: AR1525531

თარიღი : 23.07.2017

გაცემის თარიღი : 26.07.2017

გაცნობის თარიღი : 30.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმის , N 35 / ქალაქი თბილისი , ქუჩა საირმე , N 35-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ თხელიძე პ/ნ 01005008943
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3154089 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 23 ივლისს №AR1525531 განცხადებით მომართა ბესიკ თხელიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2017 წლის 23

მარტის #3154089 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3154089 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, შორაპნის ქ. №34-ში, (ნაკვ.26/47/ ქ. თბილისში, შორაპნის ქ. №34-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.13.026.102), დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების ჩანაცვლება, ამავე პროექტის შესწორებული გეგმებით. ასევე ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 2672.1 კვ.მ-ის ნაცვლად 2718.8 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 454.1 კვ.მ -ის ნაცვლად 457.7 კვ. მ-ის, შესაბამისად საერთო ფართობად 4522.6 კვ.მ-ის ნაცვლად 4572.9 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3154089 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3154089 ბრძანებაში და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმები ჩანაცვლდეს 2017 წლის 23 ივლისის №AR1525531 განცხადებით წარმოდგენილი, ამავე პროექტის შესწორებული გეგმებით. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს საცხოვრებელი ფართობი 2718.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 457.7 კვ. მ, შესაბამისად საერთო ფართობი 4572.9 კვ.მ. სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3154089 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 23 მარტის #3154089 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.